

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსთან, კერძოდ, კოდექსის 114-ე მუხლით (კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები) გათვალისწინებულია, რომ „ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა ამ კოდექსის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედ სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.“.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესი და უფლებამოსილებები მოიყვანოს სრულ შესაბამისობაში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ და რეგულირებულ წესებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონის პროექტით ზუსტდება ამ კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები, მათ შორის: ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი; სპეციალური ტრანსფერი და სხვა. შემოდის ცნებები: „პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი; ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი; რესპუბლიკური ბიუჯეტის განწერა; საგანგებო ბიუჯეტი. ახლებურად არეგულირებს სესხთან დაკავშირებულ საკითხებს.

ასევე, კანონში აისახება კოდექსით განსაზღვრული ზოგადი ნორმები. ამასთან, იცვლება რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და დამტკიცების, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენისა და განხილვის, ანგარიშებისა ვადები.

ამ კანონით ძალას კარგავს მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი (გაზეთი „აჭარა“, №33, 01.03.2007).

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს რაიმე ხარჯს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში რაიმე ხარჯს არ გამოიწვევს.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ავტონომიურ რესპუბლიკას ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს იმ პირთათვის, რომლებზედაც გავრცელდება მისი მოქმედება.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულებების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

გ.გ) კანონპროექტის ავტორი:
კანონის პროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: გელა ცხომელიძე, გელა ღეკანაძე, პეტრე ზამბახიძე.

გ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
კანონის პროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: გელა ცხომელიძე, გელა ღეკანაძე, პეტრე ზამბახიძე.